საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№108 (6485) 31 ოქტომბერი ხუთშაბათი ფასი 5 კაპიკი

გამოიწერეთ!

დაიწყო და ყველა საფოსტო განყოფილებაში მიმდინარეობს ხელმოწერა მომავალი 1992 წლისათვის რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე“.

რესპუბლიკაში ქაღალდის მწვავე დეფიციტის, გაზეთის მომზადებისათვის საჭირო სხვა მასალების გაძვირების გამო მოიმატა ხელმოწერის ფასმა და წლით ხელმოწერის ფასია 10 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—5 მანეთი და 40 კაპიკი.

ხელმოწერა მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის“ რაიონულ განყოფილებასა და კავშირ-გაბმულობის რაიონული კვანძის საფოსტო განყოფილებებში ყოველდღე.

გამოიწერეთ გაზეთი „ლეჩხუმი“. იგი თქვენი მშობლიური გაზეთია და თქვენი ჰირ-ვარამის გამზიარებელი იქნება.

პრეფექტურაში

ეკოლოგია ყველას საზრუნავია

„რაიონის პრეფექტის კაბინეტის სხდომამ განიხილა საკითხი „რაიონის წარმოება-დაწესებულებების და ორგანიზაციების მიერ ბუნების და ბუნებრივი რესურსების დაცვის მდგომარეობის შესახებ“.

აღინიშნა, რომ რაიონში დღეისათვის არსებული წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უმეტეს ნაწილში სისტემატურად ირღვევა ბუნების დაცვის წესები და ეკოლოგიური მდგომარეობა, აღგილი აქვს ნავთობპროდუქტების და ნახმარი წყლების ნიადაგში გაჟონვის, მდინარეების დაბინძურების შემთხვევებს, რაც საფრთხეს უქმნის ბუნებას და ადამიანის ჯანმრთელობას. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ავტოსატრანსპორტო საწარმოს, კოლმეურნეობის, რაიკოოპერატივის ავტოსატრანსპორტო ფარეხების, №23 საგზაო სამშენებლო სამმართველოს, აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს ავტოგასამართ სადგურებში, სადაც მოუწყობელია ნავთობპროდუქტების დამჭერი და დამცავი ზოლები. ნავთობპროდუქტების მოხმარება ხდება ყოველგვარი ეკოლოგიური პირობების დაცვის გარეშე.

ბუნების დაცვის თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი რაიონულ საავადმყოფოში, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატში, სახკვების გაერთიანების ობიექტებსა და სასურსათო კომბინატში, სადაც მოუწყობელია საკანალიზაციო სისტემები, ნახმარი წყლები და ფეკალური მასა გაწმენდისა და ფილტრაციის გარეშე ჩაედინება რაიონის ტერიტორიაზე გამავალ მდინარეებში, ამ მხრივ მოთხოვნებს ვერ პასუხობს სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის სისტემის ღვინის საწარმოები. რაიონში მოქმედ ღუმელებს არ აქვთ მავნე გაზის და მტვრის დამჭერი ფილტრები, რის გამოც დიდი რაოდენობით მავნე აირები გამოიფრქვევა ჰაერში და აბინძურებს მას.

ბუნების დაცვის ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული კოოპერატივ „ლაძგვერიას“ საქმიანობაში. პანსიონატს არ აქვს ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობა. გაწმენდის გარეშე მუშაობს ამავე კოოპერატივის წვენების საამქრო სოფელ ზუბის ტერიტორიაზე.

პრეფექტის განკარგულებით დაევალა ავტოსატრანსპორტო საწარმოს, 23-ე საგზაო სამმართველოს, აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს, რაიკოოპერატივის ბუნების დაცვის თვალსაზრისით ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი რაიონულ საავადმყოფოს, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატში, სახკვების გაერთიანების ობიექტებსა და სასურსათო კომბინატში, სადაც მოუწყობელია საკანალიზაციო სისტემები, ნახმარი წყლები და ფეკალური მასა გაწმენდისა და ფილტრაციის გარეშე ჩაედინება რაიონის ტერიტორიაზე გამავალ მდინარეებში, ამ მხრივ მოთხოვნებს ვერ პასუხობს სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის სისტემის ღვინის საწარმოები. რაიონში მოქმედ ღუმელებს არ აქვთ მავნე გაზის და მტვრის დამჭერი ფილტრები, რის გამოც დიდი რაოდენობით მავნე აირები გამოიფრქვევა ჰაერში და აბინძურებს მას.

ბუნების დაცვის ღონისძიებები არ არის გათვალისწინებული კოოპერატივ „ლაძგვერიას“ საქმიანობაში. პანსიონატს არ აქვს ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობა. გაწმენდის გარეშე მუშაობს ამავე კოოპერატივის წვენების საამქრო სოფელ ზუბის ტერიტორიაზე.

პრეფექტის განკარგულებით დაევალა ავტოსატრანსპორტო საწარმოს, 23-ე საგზაო სამმართველოს, აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს, რაიკოოპერატივის გამგეობას და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას ერთი თვის ვადაში აღკვეთონ მათ ტერიტორიაზე ბუნების დაცვისა და სანიტარული მდგომარეობის დარღვევები;

რაიონული საავადმყოფოს, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის, სახკვების გაერთიანების, სასურსათო კომბინატის, სამტრესტის ცაგერის ღვინის ქარხნის საწარმოების ხელმძღვანელებს დაევალათ გადაწყვიტონ და მოაწესრიგონ მათ ობიექტებში ნახმარი წყლებისა და ფეკალური მასის კანალიზაციის საკითხები;

კოოპერატივმა „ლაძგვერიამ“ ორ კვირაში მოაწესრიგოს ნახმარი წყლების გაუვნებლების საქმე, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი საქმიანობა შეჩერებული იქნას კანონის შესაბამისად.

პრეფექტურის ეკოლოგიის და ბუნებათსარგებლობის სექტორმა დაამყაროს კონტროლი აღნიშნული განკარგულების შესრულების მიმდინარეობაზე, იმ ორგანიზაციის მიმართ, რომელიც არ უზრუნველყოფს ბუნების დაცვის წესების საკითხების მოწესრიგებას, გატარებული იქნას ფულადი ჯარიმები კანონის დადგენილი წესის შესაბამისად და შეუსრულებლობის შემთხვევაში დასვას საკითხი წარმოების ან ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერების შესახებ.

თათბირი ცაგერის ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში

ამ დღეებში ცაგერის ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში გაიმართა რაიონის საკრებულოთა გამგებლების და მდივნების, საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს კომპარტიის სიებით (პროპორციული და მაჟორიტარული წესით) არჩეულ დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის გამო რაიონის საკრებულოებში ახალ დეპუტატთა არჩევის მოწყობის საკითხები.

თათბირზე დაევალა საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების შესახებ კანონის შესაბამისად დანიშნოს გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე გ. ჯიაძე.

საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივ საარჩევნო კომისიებში

ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 8 ოქტომბრის დადგენილებით საქართველოს კომპარტიის საარჩევნო სიებით (პროპორციული და მაჟორიტარული წესით) არჩეული დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტის გამო გამოკლებული დეპუტატთა ნაცვლად, დანიშნეს არჩევნები 1991 წლის 29 დეკემბერს.

რთველი—91

სიტყვას არ გატეხენ

გულითადი შემოდგომაა. ამინდები ისეთი დაიჭირა, პრეტენზია გამორიცხულია ბუნების მიმართ მოსავლის აღების თვალსაზრისით.

ახლა რთველია ლეჩხუმში. 2000 ტონა ყურძენი უნდა დამზადდეს რაიონის მევენახეებმა საიჯარო და საკერძოდამო ვენახებიდან. შესაძლებლობა ნამდვილად არის სახელმწიფო შეკვეთის შესრულებისა, თუკი თითოეული მევენახე გაითავისებს რესპუბლიკის ეკონომიკურ კრიზისს, გაჭირვებას. რაც შეეხება ყურძნის ფასებს, მაღალია და არავინ არ დარჩება გულნაკლული.

ორბელის ღვინის საწარმოში სასიამოვნო სურნელი ტრიალებს. რიგი დაუჭერია ადამიანებს, ოჯალეშით, ცოლიკაურით ხელდამშვენებულნი მოსულან, რჯთა თავიანთი წელილიც შემატონ რესპუბლიკაში ყურძნის დამზადების სახელმწიფოებრივ საქმეს. ჯერჯერობით დამზადებულია 400 ტონა ყურძენი.

საწარმოს ხელმძღვანელობამ სიამოვნებით გაგვაცნო მევენახეები, რომელთაც საიჯარო ვენახებში მოკრეფილი ყურძენი ჩააბარეს სახელმწიფოს მარანს.

აი, ისინიც: შალვა ბურჯალიანი, ბესიკ ლაკვეხელიანი, ჯუმბერ ფრუიძე, ბახვა კვენტაძე და სხვები.

რთველის ტემპი გვაფიქრებინებს, რომ ორბელის ღვინის საწარმოსთან შემავალი სოფლების მევენახეები სიტყვას არ გატეხავენ.

მოსავლით გაიხარა

მადლიან კალთას იბერტყავს შემოდგომა. გლეხკაცი ზაფხულიდან მოყოლებული მისჩერებოდა ზეცას—ერთი კარგი წვიმა მართლაც რომ წამალივით იყო საჭირო ყველაფრისათვის და განსაკუთრებით ვაზისთვის, მაგრამ დიდია ძალა ბუნებისა. ახლა, შემოდგომის დღეებში გაჭირვეულდა ამინდი, მტევანი თავად ვეღარაფერს იღებს, თუ არ კარგავს.

და მეურნეც შევიდა ვენახში სარვთლოდ. ჩხუტელელი ჯიბილო მეშველიანი უკმაყოფილო არაა. ძირდალოცვილმა გაახარა მოსავლით.

საიჯარო ვენახი, რომელსაც წლების მანძილზე ევლება თავს, ოჯალეშითაა სავსე. ოჯალეშს მეტი ფერება უნდა, ვიდრე ცოლიკაურს ან სხვა ჯიშის ვენახს, ძალზე მგრძნობიარეა ბუნებისადმი, არც დაუკლია მოვლა და ხელი, სხვლა არის, გაკვირტვა—გაპაერება, წამლობა თუ სხვა, ვერავინ ასწავლის ვერც აგროვადეს, ვერც ხარისხს.

წელს სიმინდი, ლობიო მოიჯარეებმა წაიღეს საკუთრივ, ამჯერად რესპუბლიკის ეკონომიური კრიზისიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი გზა ღვინოა, სახელგანთქმული ქართული ღვინო.

ამიტომ რესპუბლიკის მთავრობა ამ ეტაპზე მოიჯარეთგან ითხოვს ყურძნის მოსავალი სახელმწიფო მარანში მიიტანონ. დიდი ანაზღაურება, ბუნებრივია მევენახის იქნება.

ჯიბილო მეშველიანი უყოყმანოდ დათანხმდა. იჯარით გაპიროვნებული ვენახი მოკრიფა და 1298 კილოგრამი „ოჯალეში“ სახელმწიფო მარანში მიიტანა.

არც თავად დარჩება გულნაკლული, 4000 მანეთამდე ანაზღაურებას მიიღებს გაწეული შრომის საფასურად.

განვიხილავთ კანონპროექტს მიწის რეფორმის შესახებ

კანონს მიწის რეფორმის შესახებ სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ისეთი მცირემიწიანი და მრავალეროვანი რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა. სწორედ, ამ სფეროში უნდა გადაიდგას უპირველესად ძალზე ფრთხილი, მოფიქრებული, გააზრებული ნაბიჯები, რომ ჩვენი აგრარული პოლიტიკით დეგრადირებულ ეკონომიკას ცოტათი მაინც წავაშველოთ ხელი და რაც მთავარია, ქართველ გლეხს ქართულ მიწაზე ბოლოსდაბოლოს მივცეთ ბატონ-პატრონის კანონიერი უფლება.

ამიტომ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული კანონ-პროექტი მიწის რეფორმის თაობაზე თითოეულ ქართველს, სოფლად მცხოვრებ თითოეულ კომლს უნდა აინტერესებდეს. გულდაგულ, მუხლ-მუხლობით უნდა განვიხილოთ და ჩვენი შენიშვნები ან მოსაზრებები გამოვკვეთოთ.

პროექტის მეორე თავის მე-8 მუხლში ნათქვამია:„ მოქალაქეთა საკუთრებად მიწის გადაცემა დაემყარება სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებს. მიწის მიღების შესაძლებლობა მიეცემათ იმათ, ვინც დაამუშავებს მიწას". საზოგადოდ ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ სწორედ სოციალური სამართლიანობა გვკარნახობს სიფრთხილეს. ჩვენს ირგვლივ ხომ არიან ინვალიდთა, წვრილშვილიანი უმამო ოჯახები,

მტკივნეულ პროცესებს მოგვიხსნის

რომელთაც არ აქვთ ფიზიკური საშუალება მიწის დამუშავებისა, თუნდაც სამი წლით, რომლის შემდეგ, 22-ე მუხლის თანახმად კარგავს უფლებას მასზე. ასეთ ოჯახებს შეზღუდვა კი არა, დახმარება სჭირდებათ. ამდენად მიზანშეწონილად მიმაჩნია 22-ე მუხლის რედაქცია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „მესაკუთრე, რომელიც სამი წლის განმავლობაში არ ამუშავებს მიწას სპეციალიზ მიზეზის უქონლად, კარგავს უფლებას მასზე". ასეთ ოჯახებს პერსპექტივაში მაინც გამოუჩნდება შესაძლებლობა მიწის დამუშავებისა და საიმატრიკულაციო ვადის გასვლის შემდეგ მიიღებს ამ მიწაზე საკუთრების უფლებას.

პროექტის 27-ე მუხლი გვთავაზობს, რომ „ნასოფლარებში დაბრუნებულ მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები გადაეცემათ უსასყიდლოდ". ეს ქართული და განსაკუთრებით მთის სოფლის გაცოცხლება-აღორძინების ერთ-ერთი ოპტიმალური გზაა და მისასალმებელია, მაგრამ ჩემის აზრით, ეს ფორმულირება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ნასოფლარებში მუდმივად დაბრუნებულ..." და შემდეგ როგორც ტექსტშია. თუ ქალაქში დამკვიდრებული სოფლის შვილები მხოლოდ-და მხოლოდ მიწის დროებითი დამუშავებით დაკმაყოფილდებიან და ფაქტიურად არ იცხოვრებენ სოფლად, არ იზრუნებენ მისთვის, ასეთ შემთხვევაში მთის აღორძინებაზე ზედმეტია ლაპარაკი.

და საერთოდ პროექტი მიწის ზესახებ დროულად უნდა განვიხილოთ და მივიღოთ კანონად, რომელიც ბევრ მტკივნეულ პროცესს მოგვიხსნის.

მომსახურება და საბაზრო ეკონომიკა

დღეს, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში კომერციული აზროვნების გარეშე ფონს ვერ გავალთ.

ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საქმიანობით დავინტერესდით. რა პერსპექტივა ჩანს ამ სფეროში, როგორაა მშრომელთა ყოველდღიური მომსახურების საქმე, რა მოგველ-

პრივატიზაცია და კიდევ ...

ის ხვალ?

აი, რა გვიპასუხა სამმართველოს უფროსმა გიორგი მუშკუდიანმა:

მოგეხსენებათ, დღეს ფული წყვეტს ყველაფერს. საერთოდ, მიმდინარე წელს არც ერთი მეტრი ქსოვილი, არც ერთი კილოგრამი რკინა, ცემენტი თუ სხვა სამშენებლო მასალა არ მიგვიღია. შეიძლება მკითხოთ, ნუთუ არაფერი აღარ არისო მომწოდებელ გაერთიანებებში. არის, იშოვება, მაგრამ იმდენად ძვირია რომ, ჯერ ერთი, ვერ შევძლებთ, და მერე მისგან შეკერილი ტანსაცმელი, თუ დამზადებული ავეჯი ან სხვა რამ ჩვენი მოსახლეობისათვის თითქმის მიუწვდომელი ფასისა იქნება.

ამიტომ ვცდილობთ შევინარჩუნოთ მომსახურების ისეთი სახეობები, რომლებიც პირველ რიგში აუცილებელია ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში, და მეორეც— ამონაგებს მოგვცემს, ასეთებია: სპპარიკმახერო, სამკერვალო, აბანო და სხვა.

დღეს იმდენად გვიჭირს ავეჯის დამზადება, რომ გარდა ლასურიაშის - საავეჯო [illegible] სნოსა, ყველა ობიექტი დაკტილია. ვერანაირი ნედლეული ვერ შემოგვაქვს (განსაკუთრებით ფანერი). ამიტომ პრეფექტურამ გამოგვიყო წიფლის ხე-ტყე და ვცდილობთ ისეთი ასორტიმენტის ავეჯი დავამზადოთ (ტახტი, სკამები და სხვა), რომელსაც სხვა დამხმარე კომპონენტი არ სჭირდება.

ახლა აუცილებელია მოხდეს წვრილ ობიექტთა პრივატიზაცია. გვაქვს სოფლებში ობიექტები შენობებით, დანადგარებით, მაგრამ ვერ ვამუშავებთ. თუ კი გამოჩნდება ვინმე და შეძლებს საკუთარი ხარჯებით მათ ამოქმედებას, სიამოვნებით მივყიდით.

ძალზე ძვირფასი და რთული დანადგარები აქვს ქალაქში არსებულ ქიმწმენდის საამქროს. იგი ტექნიკურად მზა მდგომარეობაშია, მაგრამ ხსნარი, რომლითაც მუშაობდა, საზღვარგარეთიდან შემოდიოდა გაერთიანებაში. ახლა კი ამის საშუალება არა გვაქვს და ვფიქრობთ, პრიმიტიულ საამქროს უფრო გამოვიყენებდით.

დღეისთვის მომსახურების სამმართველო მთლიანად ეფუძნება ხელოსნებიდან შემოსულ ამონაგებს. ეს ამონაგები, ჯერჯერობით ნაკლებია დანახარჯებზე, სულ წლის მანძილზე 100000 მანეთია, დანახარჯები კი 130.000 მანეთს შეადგენს დაახლოებით.

ახლა რომ, ზარალიანია სფერო, რა იქნება ხვალ?

ვფიქრობთ მომსახურების ძირითად სფეროებს მეტი დახმარება და კონტროლი გავუწიოთ და მოვიფიქროთ დამხმარე შემოსავლიანი დარგები, რომ თავსაც ვარგოთ და სხვასაც.

ჩვენ გვწერენ

ორწიფობა აღვში

კარგი ტრადიცია აღდგა საქართველოში—რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა. აღვში ადრე აღინიშნებოდა ორწიფობა-ახლოთ 15 ოქტომბერს, ძველით —2 ოქტომბერს. მეორე წელია, რაც ეს დღესასწაული ისევ ტარდება და აღსანიშნავია, რომ მისი ორგანიზატორები ახალგაზრდები არიან.

წინა ღამით ქვედა აღვის ეკლესიაში მოეწყო ღამისთევა, მეორე დღის 2 საათზე კი ეკლესიის ეზოში, რომელიც გაწმენდილი და გასუფთავებულია, თავი მოიყარეს სოფელ აღვის მცხოვრებლებმა, სტუმრებმა მეზობელი რაიონებიდან.

ეკლესიაში ხატებთან მიდიოდა დიდი და პატარა, ანთებდნენ სანთლებს, გამარჯვებას უსურვებდნენ დამოუკიდებელ საქართველოს.

მიწისძვრისაგან დაზიანდა აღვის ეკლესიის შენობა. გადაწყდა მისი რეკონსტრუქცია, აღდგება წირვა-ლოცვა ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ორწიფობის დღესასწაულს ესწრებოდა სხვადასხვა ასაკის 300-მდე ადამიანი.

ეღერდა მუსიკა, იღვრებოდა ქართული სიმღერები და ყველა საგალობლები, ეს იყო ძმობის, მეგობრობის, მშვიდობის დღესასწაული, რომელიც არასოდეს დაავიწყდებათ მის მონაწილეებს. ცერემონიალში მონაწილეობდა რაიონის პრეფექტის პირველი მოადგილე გიორგი ჯიაძე, რომელმაც დღესასწაული მიულოცა თანასოფლელებს.

შ. ყურაშვილი,

გაზეთ „ლეჩხუმის" საკ. კორესპონდენტი.

საპრეზიდენტო მოქმედებს

ლასურიაშის მოსახლეობა (საკრებულოს გამგებელი რ. ბერგვაძე) კმაყოფილია, რომ შეუფერხებლად მუშაობს ფერნე, ყოველდღიურად ცხვება პური, ერთ კვირაზე მეტია მუშაობს თორნე, რომელიც ყოველდღიურად 700 კილოგრამ პურს აცხობს. ასე რომ ლასურიაშის, დეხვირის, მახაშის მოსახლეობა ძირითადად უზრუნველყოფილია პურით.

არის პერსპექტივა, რომ პურსაცხობი უმოკლეს ვადაში აშენდება დეხვირშიც. ამ სოფელში მოქმედება დაიწყო ბიბლიოთეკამ და საფერშლო პუნქტმა.

რამდენიმე კვირაა ლასურიაშში გაიხსნა ცბილის სამკურნალო კაბინეტი. კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ლასურიაშის განყოფილების სატელეფონო სადგური გაფართოვდა, დაემატა 50 ნომერი, უმოკლეს დროში კიდევ 50 ოჯახი დაიდგამს ტელეფონს.

მახაშში აშენდა მგზავრთა მოსაცდელი, ასეთი მოსაცდელი აშენდება ლასურიაშიც.

შეკეთებულია ლასურიაშის და დეხვირის საავტომობილო გზები, რეგულარულად მოძრაობს ავტობუსები. მოძრაობის გრაფიკი იშლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შეფერხებებია ბენზინის მოწოდებაში.

მომზადებულია ნიადაგი დამალე დაიწყება აბანოს მშენებლობა, რითაც შესრულდება ლასურიაშელთა მრავალი წლის მოთხოვნა.

შემოზიდულია და ოჯახებზე განაწილებით იყიდება ნავთი.

მოსაგვარებელი საკითხები კვლავ ბევრია. იმედია კვლავაც ენერგიულად იმოქმედებენ საკრებულო და მისი დეპუტატები.

გალაკტიონ ჰაგუკიანი.

სოფელი ლასურიაში.

ხომ არ გენიშნათ?

უკანასკნელ ხანს ვენახებში—მაისის ბოლოს და ივნისში შეიმჩნევა ფოთლების აჭრელება. ასეთი ვაზები ხასიათდებიან დიდი რაოდენობის წვრილმარცვლიანობით. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ერთის მხრივ—ნიადაგში საკვები ელემენტების, განსაკუთრებით მიკროელემენტების (ბორი, თუთია, რკინა და სხვა) ნაკლოვანებებით, ან მათი ზედმეტი რაოდენობით, ხოლო მეორეს მხრივ სხვადასხვა ვირუსული დაავადებებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ გავარკვიოთ რამ გამოიწვია ვაზების ასეთი ყოფა-ქცევა, ვთხოვთ ვენახის მფლობელებს, სადაც ასეთი სიმპტომები (ნიშნები) შეიმჩნევა და მას აქვს სისტემური (წლების განმავლობაში) ხასიათი გვაცნობოს საქარის საცდელ სადგურში შემდეგი მონაცემებით: რამდენი წელია, რაც შეიმჩნევა ასეთი ყოფა-ქცევის ვაზები და მათი მდგომარეობა უარესდება თუ არა, მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებული ზხამ-ქიმიკატების, ასევე სარეველების წინააღმდეგ გამოყენებული ჰერბიციდების დასახელება, ნაკვეთში შეიმჩნევა თუ არა ტენის ან კირის ჭარბი რაოდენობა. ჩვენი უმორჩილესი თხოვნაა მევენახეებისადმი, სადაც ზემოთ მოტანილი ნიშნებია, გვაცნობოთ შემდეგი: გვარი, სახელი, მამის სახელი, რაიონი, სოფელი, ნაკვეთის სახელწოდება, ჯიში, საძირე, კერძო თუ საზოგადოებრივ სექტორშია, რათა ადგილზე მისვლით გავარკვიოთ გამომწვევი მიზეზები, რაც შემდგომში მოგვცემს საშუალებას დავსახოთ ბრძოლის ღონისძიებანი.

ველით თქვენს გამოხმაურებას.

ჩვენი მისამართია: 383900 ზესტაფონი, საქარის საცდელი სადგური.

ნანული შალამბერიძე,

საქარიის საცდელი სადგურის მცენარეთა დაცვის განყოფილების გამგე, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

გოგი გაფრინდაშვილი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, მეცნიერ-კონსულტანტი.

მხსნელად მოევლინა

ამ ბოლო წლების მანძილზე არაერთი ახალგაზრდა ექიმი შეემატა რაიონის მკურნალთა რიგებს. ცნობილია, რომ ექიმის პროფესიის ბოლომდე დაუფლება თეორიულ ცოდნასთან ერთად წლების გამოცდილებასაც მოითხოვს. ამიტომაც განსაკუთრებულ სიამოვნებას იწვევს, როცა ახალგაზრდა სპეციალისტის მკურნალობაში პროფესიის ღრმა ცოდნას შეიგრძნობ. ბუნებრივია, ამის შემდეგ გიმტკიცდება რწმენა ახალგაზრდა ექიმის მიმართ. ყოველივე ეს საკუთარ თავზე გამოვცადე.

ამ ცოტა ხნის წინ რაიონულ საავადმყოფოში გულის მწვავე შეტევის შემდეგ მიმიყვანეს. იმდენად ხანგრძლივი, მტკივნეული იყო ეს შეტევები, სიმართლე გითხრათ, ძნელად მჯეროდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა ჩემი გადარჩენა. მაგრამ სწორედაც რომ მხსნელად მომევლინა ახალგაზრდა ექიმი კოტე ხვადაგიანი, რომლის მიერაც მკურნალობის პირველ საათშივე დასმული იქნა სწორი დიაგნოზი, კარგად წარიმართა მკურნალობის კურსიც, ჯანმრთელობა დღითიდღე მიუმჯობესდებოდა.

რაისაავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმის ყურადღებიანმა, გულისხმიერმა დამოკიდებულებამ წარმოდგენა გამიუმჯობესა ახალგაზრდებზე, ფსიქოლოგიურად მომანიჭა ძალა და დაავადებისგან განვიკურნე.

ახლა გამოჯანმრთელებულს მხნეობას მმატებს ცოდნა იმისა, რომ ადამიანთა ჯანმრთელობას იმსახურება ისეთი სპეციალისტი, როგორიც ექიმი კოტე ხვადაგიანია.

ნორა გასვიანი,

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი.

კუს ნაბიჯით სანამდე?

● ჭიანურდება აღპანის საუბნო ●

საავადმყოფოს მშენებლობა

ალპანის საუბნო საავადმყოფო მოთავსებული იყო ლაჯანურმეზის მშენებლობის დროინდელ მშენებელთა საცხოვრებელ სამსართულიან შენობაში. იგი მომსახურებას უწევდა ალპანის, ღვირიშის, ნაკურალეშის, ტვიშის რეგიონების მოსახლეობას. ავადმყოფები კმაყოფილნი იყვნენ სამედიცინო მომსახურებით. დროთა განმავლობაში შენობა დაზიანდა. გათვალისწინებული იყო კაპიტალური რემონტის სამუშაოების ჩატარება, მაგრამ მიმდინარე წლის 29 აპრილის მიწისძვრამ მთლიანად მწყობრიდან გამოიყვანა შენობა. მესამე სართული თითქმის დაიშალა, მეორე და პირველი სართულების კედლები ძლიერ დაზიანდა. შემოწმებით დადგინდა, რომ შენობის გამაგრება-აღდგენა არ შეიძლებოდა და გადაწყდა ახლის აშენება.

გამოინახა შენობის დასადგმელი ადგილი—ალპანის სამკურნალო აბანოს ზემოთ, ეგრეთწოდებულ „ნასახლარებში". შედგა პროექტი. საავადმყოფოს შენობა დაიგეგმა 25 საწოლზე. უნდა აიგოს ორი შენობა: ძირითადი კორპუსი და დამხმარე სამეურნეო კორპუსი. ძირითად კორპუსს ექნება სარდაფი და ორი სართული, ხოლო სამეურნეო კორპუსი იქნება ერთი სართული. გათვალისწინებულია საავადმყოფოში მოეწყოს ალპანის აბანოს წყლის საბაზანოები. ასე რომ, იგება თანამედროვე ტიპის საავადმყოფო ყველა საჭირო სათავსოთი.

მშენებლობას აწარმოებს ცაგერის სარემონტო-სამშენებლო უბანი (უფროსი ამირან გოგიძე, სამუშაოთა მწარმოებელი ამ უბნის ინჟინერი შიო ომანაძე). მშენებლობა დაიწყეს 10 ივლისს. მშენებლობა უნდა დამთავრდეს მომავალ წელს. თუ ხელისშეწყობა იქნებოდა, მშენებლები ვარაუდობდნენ და დაპირებას იძლეოდნენ, რომ მშენებლობას დაასრულებდნენ მიმდინარე წელს. მაგრამ ადგილზე მისვლამ (23 ოქტომბერი) და არსებული მდგომარეობის გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ასეთი ტემპით რამდენიმე წელიც დასჭირდება მშენებლობას.

მშენებლობის დაწყებიდან შესრულებულია შემდეგი სამუშაოები: მოსწორდა 7550 კვადრატული მეტრი სამშენებლო მოედანი, გატანილ იქნა 7 ათასი კუბური მეტრი გრუნტი. ამოჭრილია სარდაფი 612 კვადრატული მეტრი და ძირითადი კორპუსის ფუნდამენტის ამოჭრას კიდევ დასჭირდებიან 3 დღე. ხოლო დამხმარე სამეურნეო კორპუსის ასაშენებელი ტერიტორია მოსწორებულია. ფუნდამენტის ამოჭრა არ დაუწყიათ. 3 თვეზე მეტია მუშაობა დაიწყეს და დასჭირდნენ ტერიტორიის მოსწორებას, ძირითადი კორპუსის ბალავრის ამოჭრას და ისიც არ არის მოთავებული. შემოზიდულია ფუნდამენტის ბლოკი საჭირო 400 კუბური მეტრიდან 100 კუბური მეტრი; 60 ტონა ცემენტი, რომელიც იმის გამო, რომ ადგილზე არ აქვთ ცემენტის სათავსო, აწყვია ცაგერის სარემონტო სამშენებლო უბნის საწყობში, შემოზიდული აქვთ აგრეთვე 8 ტონა არმატურა. ქუთაისის რკინა-ბეტონის №2 ქარხანა არ აფერხებთ მაგრამ ბალავრის ამოჭრას ბეტონის მოდელებზე. ეზოში სპეციალიზებულ ბინებში, რომლებიც აუცილებლად სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებენ. ასეთებს ბინებზე ვუტარებთ მკურნალობას, რაც ბევრ სიძნელეს გვიქმნის. მანვე გვითხრა, რომ მიუხედავად მთავარი ექიმის მონდომებისა და ზემდგომ ორგანოებში საკითხის მრავალჯერ დაყენებისა, საავადმყოფოს მშენებლობა კუს ნაბიჯით მიდის და ასეთი დანიშნულების შენობის მშენებლობის ასე გაჭიანურება აღელვებთ მედიცინის მუშაკებს და რეგიონის მცხოვრებლებს.

ალპანის სოფლის საკრებულოს გამგებელმა თენგიზ ბურჯალიანმა გვითხრა: ცაგერის სარემონტო სამშენებლო უბანს ალპანის საავადმყოფოს მშენებლობისათვის მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ამბროლაურის შტაბის მიერ ავანსის სახით ჩარიცხული აქვს 300 ათასი მანეთი, 3 თვეზე მეტია მშენებლობის სამუშაოები დაიწყო და ბალავრის ამოჭრაც ვერ დაამთავრეს. „ვფიქრობ, მეზობელ ამბროლაურისა და ონის რაიონებში ბევრი ნაზოგადოებრივი და საცხოვრებელი შენობების მშენებლობა უკვე დამთავრდა. აღნიშნა, რომ ცაგერის სარემონტო სამშენებლო უბანს არ გააჩნია საშუალებები ამ რთული შენობის დაჩქარებული მშენებლობისათვის.

რომ ეს მშენებლობა დაჩქარდეს, საკრებულოს გამგებელის, საავადმყოფოს მუშაკებისა და საკრებულოს დეპუტატების წინადადებაა მშენებლობა გადაეცეს სხვა სამშენებლო ორგანიზაციას.

ჩვენის აზრით, თავშივე უნდა განესაზღვრათ მშენებარე ორგანიზაციის შესაძლებლობანი. ახლა კი ზამთარი კარსაა მომდგარი, სამშენებლო მასალები ფაქტიურად არის, მშენებლობა კი გაყინულია.

მშენებლობა სიძნელეების გარეშე სად გაგონილა, მაგრამ გულსაწყვეტია ერთი რამ—მიწისძვრით დაზარალებული ობიექტების ხელახალი აშენება ყველგან დამკვრელური, ორგანიზებული ტემპით მიმდინარეობს, ჩვენ კი არ დაგვავიწყდეს, მხოლოდ ერთი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტს ვაშენებთ და ისიც საავადმყოფოს...

ვლ. დავითულიანი.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს მიღებას სამეურნეო ანგარიშზე მოქმედ „ბ" კატეგორიის მძღოლთა მოსამზადებელ ჯგუფში.

სწავლების ღირებულება 220 მანეთია. სწავლის ხანგრძლივობა 2—თვე.

სასწავლებლის დირექცია

გაზეთი ლატარიას თამაშობს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბეჭდითი ორგანო გაზეთი „სვობოდნაია გრუზია" 1992 წლიდან სიახლეს თავაზობს თავის მკითხველს. ყველა, ვინც 1 წლით გამოიწერს გაზეთს, ხდება პირველი რესპუბლიკური ლატარიის მონაწილე, რომელსაც აწყობენ გაზეთის სარედაქციო კოლექტივი და სპონსორები.

ლატარიაში გათამაშდება უცხოური მსუბუქი ავტომანქანები, ვიდეოაპარატურა, აუდიოტექნიკა, ფერადი ტელევიზორები, სხვადასხვა იმპორტული დეფიციტური ნაწარმი.

გამოიწერეთ „სვობოდნაია გრუზია". საინტერესო გაზეთთან ერთად თქვენ მიიღებთ ჩამოთვლილი ნივთების მოგების შესაძლებლობას.

გაზეთი „სვობოდნაია გრუზია".

განცხადება

ლენტეხის პირუტყვის გადამმუშავებელი ქარხნის ცაგერის ფილიალი (გამგე ლადო კოპალიანი), რომელიც ფუნქციონირებს ჭალისთავში, მოსახლეობის საყურადღებოდ აცხადებს, რომ პირუტყვის ჩაბარება იწარმოებს ყოველ კვირა დღეს დილიდან საღამომდე. უმალლესი შეხორცების მსხვილფეხა პირუტყვის 1 კილოგრამის ფასია 7 მანეთი, ღორისა 5 მანეთი.

კილოგრამი ხორცის ჩაბარებისათვის ჩამბარებელი მიიღებს 5 კილოგრამ კომბინირებულ საკვებს. კომბინირებული საკვები შეგვიძლია მივცეთ წინასწარაც, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, პირუტყვის გასუქების მიზნით.

ფილიალი მზადაა შეუფერხებლად მიიღოს პირუტყვი, მოემსახუროს მოსახლეობას.

ლენტეხის პირუტყვის გადამმუშავებელი ქარხნის ცაგერის ფილიალი.

გილოცავთ

ლელა, დათო ხეცურიანებს

გილოცავთ ნანატრი ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქართველი. კვლავ გამრავლება მოგვეღოცოს.

საკოლმეურნეობათშორისო სატყეო მეურნეობის კოლექტივი.

ხსოვნა

ძვირფასო მკითხველო! ბევრი ახლობელი, ძვირფასი სახელი აკლია ჩვენს გულებს. მათი ხსოვნა, მოგონება ერთგვარად გვიმსუბუქებს დარდსა და ტკივილს. რედაქციაშიც მოდიან თხოვნით, სურთ წასულთა გახსენება.

და აი, მოგვეცა საშუალება მცირედი ფასის გადახდით გაზეთის გარკვეული მონაკვეთი დავუთმოთ მიცვალებულთა ხსოვნას. ამიერიდან ოჯახს, შრომით კოლექტივს, მეგობრებს, პერსონალურადაც, ყველას შეგიძლიათ მოიგონოთ ადამიანები, რომლებიც აგრერიგად აკლია თქვენს ცხოვრებასა და სულს.

სევდა არასდროს განელდება

(ჯუმბერ მეშვილიანის გასსენება)

„ნეტავ რა ზმე სჯირს სიკვდილსა,
ვერ მიხვდა ჩვენი გონება.
შიგ ამოარჩევს ვაჟკაცსა,
რომელიც მოეწონება".

დიდი ვაჟას ეს სიტყვები დაწერილი რომ არ ყოფილიყო, შენი მოულოდნელი სიკვდილით გულდამწვარი ახლობლები და მეგობრები თვითონ დაწერდნენ ძვირფასო ჯუმბერ, ბრმა ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა შენი სიხარულითა და სიყვარულით აღსავსე სიცოცხლე.

დრო მკურნალიაო, ამბობენ, მაგრამ რატომღაც არ გვჯერა. არ გვჯერა იმიტომ, რომ შენი სიკვდილით შუაზე გაყოფილ ჩვენს გულებს კვლავ შენზე ფიქრი სდევს; 23 წელია არ გვიხილავს შენი საოცრად თბილი, ალერსით აღსავსე მკაცრი და ამასთან ლმობიერი გამოხედვა, უდიდეს რიდსა და ხარს რომ იწვევდა ჩვენში. ოჯახის ერთგული, ცოლ-შვილისა და ყველა ახლობლის მოყვარული, საოცარი ბუნების კაცი იყავი, როგორ შეხაროდი შენს პირმშოს, ძმისშვილსა და დისშვილებს. მათ დაფრთიანება-დავაუკაცებაზე ოცნებობდი. მამის დაძახებას ვერ მოასწარი, 5 თვისა დატოვე ერთადერთი ასული—თინიკო, ახლა კი ბებია ხარ პატარა ვასიკოსი.

ცხოვრება თავის გზით მიდის, ჯუმბერ, როგორ არ გვიყვარს ოქტომბერი. სწორედ ავადმოსაგონარ, 1968 წლის 24 ოქტომბერს შეწყდა შენი გულისცემა 40 წლის ასაკში. 5 ოქტომბერს იქორწინა შენმა საყვარელმა ძმისშვილმა, როგორ გაიხარებდი, რა სიამაყით მიულოცავდი ბედნიერებას... იმ დღეს უფრო მწარედ ვგრძნობდით უშენობას, ჩვენო სიამაყევ, როგორ ვინატრეთ შენი ომახიანი ხმით წამოწყებული „გოგოვ, გოგოვ-შავთვალა".

ქართველი ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით. დასანანია, რომ ამ დიდი საქმისათვის ბრძოლაში შენ ვერ შეიტანე შენეულ წვლილს.

გწამდეს, ჩვენს გულებში შენი სახელის ნათელი ხსოვნაა სამუდამოდ.

მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე მშობელი მიწა.

დედამიშვილები ოჯახებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე შურა ჩაკვეტაძე, შვილები მზია, ლარისა, ნაზიბროლა, ძმა ნიკანდრო, სიძეები ბორის ერისთავი, ალექსი ჭეიშვილი, თამაზ გოლეთიანი, ძმიშვილები ლილი, ბუჭუ, იზა, მერი ,მადონ, ცოლისდა დარეჯან საღინაძე, ცოლისძმა კუკური ჩაკვეტაძე, რძლები სონა ცხვედიანი, ქსენია გარსევანიშვილი, ჯულიეტა ნოსელიძე, ლამარა ჩაკვეტაძე, შვილიშვილები ბექა, ლაშა, სალომე, დავითი, ბიცაშვილები, მამიდაშვილები, ცოლისძმისშვილები, ცოლისდისშვილები, უახლოესი ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ნიკოს ძე მამარდაშვილი.

დაკრძალვა 2 ნოემბერს, შაბათს, სოფელ ოყურეშში.

ინეზა, ხვიჩა, ლაშა კეკრკაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ნიკოს ძე მამარდაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცაგერის საშუალო სკოლის 10-ა კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ელვარა ბურჯალიანს, მარიკა ყვირილიანს და რუსუდან ბურჯალიანს მამის და ბაბუის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფოს- პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ექიმ ნათელა ხეცურიანს ძამის

სარდიონ ქურასპედიანის

გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა ხეცურიანს მამის

სარდიონ ქურასპედიანის

გარდაცვალების გამო.

აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრასპორტო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ გრიშა ყურაშვილს ბიძაშვილის

გურგენ (ჟორა) ყურაშვილის

გარდაცვალების გამო.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ნიკოს ძე მამარდაშვილი

ღვარიშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს მაგული ყურაშვილს დეიდის

სეტო გიორგობიანის

გარდაცვალების გამო.

რუსუდან ახვლედიანი, მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ნათელა, შალვა ცვირიანებს მამისა და სიმამრის

სარდიონ ქურასპედიანის

გარდაცვალების გამო.

პაველ ბაკურაძე, შიო ახვლედიანი, ლევან ჩიქოვანი, ნოდარ ბაბლუანი, მიშა ბერიძე, ლოლა ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სარდიონ ქურასპედიანი.

დედა გულიკო, მამა მურმანი. და მაკა, სიძე კობა უშვერიძე, ბებიები სონა ნემსწვერიძე, ვერა მამიდაშვილი, ბაბუა სიმონ მამარდაშვილი, მამიდა გულნაზი, ბიძები შურმან, თათარო ნემსწვერიძეები, ტუხუ გურგუჩიანი, ჟორა გორგოძე, ანზორ მამარდაშვილი, დეიდა მაგული მამარდაშვილი, ბიცოლები გულიკო ბაბუნაშვილი, ლუიზა მამარდაშვილი, მამიდაშვილი ამირან გურგუჩიანი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მამუკა მურმანის ძე ნემსწვერიძე

დაკრძალვა 2 ნოემბერს, შაბათს, ქ. ქუთაისში, გამოსვენება ფარნაოზ მეფის ქ. №72-დან.

შვილი ნათელა ხეცურიანი, სიძე შალვა ცვარიანი, შვილიშვილები რუსუდანი, თეიმურაზი, შვილთაშვილები ნათია, ეკა, და ივდითი, დისშვილები ჯუმბერ ნემსწვერიძე, გივი, ნიურა, კარლო, ნაირა საღინაძეები, ძმისშვილები ნათელა, შურა, რემა, თამარი ოჯახებით იუწყებიან

სარდიონ მაქსიმეს ძე ქურასპედიანის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 2 ნოემბერს, შაბათს სოფ. ბარდნალაში.

ბიჭიკო, იური, ზურაბ, ზაურ, გიგა, ნადია, გოგი, ნათელა, მიშა, სერგო მამარდაშვილები. ანზორ ეგრეხელიძე, შარო ომანაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დავით ნიკოლოზის ძე მამარდაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

იზო ბურჯალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი

ზაურ მუშკუდიანი, გოგი მამარდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გედეონ ონისიმეს ძ გოლეთიანი.

გელა, მარო ბენდელიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ნორა საღინაძეს ბიძის

სარდიონ ქურასპედიანის

გარდაცვალების გამო.

შოთა, ოთარ, ზურაბ ხაბულიანები, კარლო მუშკუდიანი, ოთარ თვარაძე, ვიტალი ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან

სარდიონ მაქსიმეს ძე ქურასპედიანის

გარდაცვალებას.

ორბელის საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეები. მშობლები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ნესტან ბურჯალიანს ბაბუის

ვალიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ლუკას ძე ბურჯალიანი

ორბელის საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები, მშობლები დაკლასის ხელმძღვანელი მზია ბურჯალიანი თანაუგრძნობენ მაია ბურჯალიანს ბაბუის

ვალიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ჟორა ფრუიძე, შვილები დარეჯანი, დარიკო, ფირუზი. შვილიშვილები მალიკა, მაია, მაკა, ალიკა ბერიძეები, თეონა, რევაზ მამრიკიშვილები, სიძეები ბადრი ბერიძე, დათო მამრიკიშვილი, დაძმები მარო, ჯოკია, ფარნაოზ, თენგიზ, ისლამ, ვალოდია, ლევან ლიპარტელიანები, დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალენტინა თედოს ასული ლიპარტელიანი-ფრუიძე.

დაკრძალვა 2 ნოემბერს, შაბათს 17 საათზე, სოფ. ალპანაში.

მარიამ გამსახურდია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ნიკოლოზის ძე დაშნიანი.

უახლოესი მეზობლები კაპიტონ ნემსწვერიძე, სერაპიონ ბურჯალიანი, ბიჭიკო, გენო გურგუჩიანები, მალხაზ, ჭირზა, მამუკა ბახსოლიანები, შამშე ეგრელი ოჯახებით იუწყებიან

ვარლამ ლუკას ძე ბურჯალიანის

და

ჭიჭიკო ნესტორის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს.

იზა, ლილი, დარეჯან, როსტომ, ზაურ თვარაძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

ჯონი ხეცურიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჯვირან ჩაკვეტაძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ლუკას ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მიტუშა გოგიძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ნიკოლოზის ძე დაშნიანი.

ცაგერის რაიონის სამედიცინო საზოგადოება თანაუგრძნობს ჯონი, ელვარა ბურჯალიანებს სიმამრის და მამის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

მიშა, გივი მურცხვალაძეები, დარიკო ჭიჭინაძე, დათო საღინაძე, ნოდარ მუშკუდიანი, დემური, ზურაბ ნემსწვერიძეები, ოთარ ქლიბაძე, გურამ ნემსაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი.

რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილება თანაუგრძნობს ლეილა ხეცურიანს მამიდის

ლოლა ბენდელიანის

გარდაცვალების გამო.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ რეზო, მთვარისა ბურჯალიანებს მამისა და მამამთილის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ოთარ, გელა ჭაბუკიანები, სოსოლაშეფიანი, თემურ კანაჩაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ანა, გიგა ჭაბუკიანებს მამისა და სიმამრის

გრიგოლ დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარო, შვილები ჟორა, ბონდო, გოგია, გულსუნდა. და საშა, რძლები მადონა, ფერიდე, სულიკო, შვილიშვილები ნატო. დათო, ხათუნა, მარიამი, ანა, გედეონი, შვილთაშვილი ნანა, ძმისშვილი გედეონი, სიძე კაკო, დისშვილები ნივრა, ხეინაბი, ზაიგული ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გედეონ ონისიმეს ძე გოლეთიანი.

დაკრძალვა 9 ნოემბერს, შაბათს, სოფ. ნაკურალეშში.

მურმან ქურასპედიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ზურაბ ნიკოლოზის ძე დაშნიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეზობლები თხმარ, დაშა, შოთა, კუკური, ნაილი, ივანე, შოთა, შალვა ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გედეონ გოლეთიანი.

თამარ, კუკური, გიული, რეზო, იური ჩაკვეტაძეები ოჯახებით იუწყებიან

გედეონ გოლეთიანის

გარდაცვალებას.

გორგი, თემურ, ომარ, ბიძინა, უჩა ბურჯალიანები, დემურ აბაშიძე, შაქრო დევდარიანი, თემურ ონიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ სოზარ ბურჯალიანს მამის

ვალიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

არსენ მეგრელი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ლუკას ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

თემურ ლაკვეხელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ბურჯალიანი.

გრიშა სვანიძე, ბიძინა სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი.

სოციალურ-ეკონომიკურ განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნოდარ ცვარიანს ბიძის

ჭიჭიკო ნესტორის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

მიშა გურგუჩიანი, გალაქტიონ სვანიძე, ბიქტორ, კოწია, ორდეან ბახსოლიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი.

ჯუმბერ ბენდელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი.

ინდიკო, მიშა გურგუჩიანები, ვიტალი სვანიძე, გელა ლუშაველი, ლომურ, რაინდი ბახსოლიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მიშა გურგუჩიანი, გალაქტიონ სვანიძე, ბიქტორ, კოწია, ორდეან ბახსოლიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ბურჯალიანი.

ზაირა, როინ ... ან მოწონელიძე, ... ზურაბ ხ... ე, ბონდო ჭაბუკიანი, დათო ონიანი, ჯონი ხალიანი, გრიგოლ ყურაშვილი, მურთაზ ამბროლიანი, გულვეო ... ია, ზურაბ ... ვილი, ვალერი ... ძე, ნანი ხაბულიანი თანაუგრძნობენ მთვარისა, რეზო ბურჯალიანებს მამამთილის და მამის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის 1978 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ მამუკა საღინაძეს ბიძაშვილის

ნუგზარ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ალპანის საავადმყოფოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალენტინა თედორეს ასული ფრუიძე.

ნოდარ ყურაშვილი, მურად ასათიანი, ოთარ ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯონი ჟორას ძე ხეცურიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები თანაუგრძნობენ აზა და გიგა ჭაბუკიანებს მამისა და სიმამრის

გრიგოლ დავითულიანის

გარდაცვალების გამო.

მურმან სილაგაძე, ჯემალ კობერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ეთერ, ბიძინა სილაგაძეებს ბიძის

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ მამუკა საღინაძეს ბიძაშვილის

ნუგზარ საღინაძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ბაგა-ბღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარიამ გამსახურდიას დეიდაშვილის

ზურაბ ნიკოლოზის ძე დაშნიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები გურამი, უჩა, გიზო, ვენგერი ჩორგოლიანები, საშიკო გოდერიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჭიჭიკო ნესტორის ძე ბურჯალიანი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მამუკა ბურჯალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ლუკას ძე ბურჯალიანი.

შალვა, ჯუმბერ ცვარიანები ოჯახებით იუწყებიან

ჭიჭიკო ბურჯალიანის

გარდაცვალებას.

ჯუმბერ, ნოდარ ცვარიანები, ამირან კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

სარდიონ მაქსიმეს ძე ქურასბედიანის

გარდაცვალებას.

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ჭუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის ტიპაში.